

## „ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი

სალომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 10,14,18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 11.03.- 14.03.2022 წ.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ტურნირის ორგანიზატორი:** აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

**ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი:** აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

**ჩატარების სისტემა:** ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

ტურნირში ფიდეს რეიტინგის დათვლა განისაზღვრება მონაწილეთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

**მონაწილენი:** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან, **დაბადებულნი 2012, 2008 და 2004 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

**დროის კონტროლი:** თითოეულ მონაწილეს მიეცემა 30 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.

**თაი-ბრეიქი:** თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

**რეგისტრაცია:**

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:

<https://forms.gle/yiRUG9u5Dypc5eaN6>

ასევე, უნდა გადმოაგზავნონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2022 წლის საწევროს გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი ელ. ფოსტაზე - [info@acf.ge](mailto:info@acf.ge) 2022 წლის 11 მარტის 18.00 საათამდე:

**რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2022 წლის 11 მარტი, 18.00 საათი.**

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები. ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2022 წლის საწევროს ( 24 ლარი) შეტანა შემდეგ ანგარიშზე საიდ. კოდი: 245424704 ს.ს.” საქართველოს ბანკი”, მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG000000363099200

**ტურნირის განრიგი:**

ჩამოსვლის დღე	11 მარტი	
I ტური	12 მარტი	12:00 სთ.
II ტური	12 მარტი	14:00 სთ.
III ტური	13 მარტი	12:00 სთ.
IV ტური	13 მარტი	14:00 სთ.
V ტური	13 მარტი	16:00 სთ.
VI ტური	14 მარტი	12:00 სთ.
VII ტური	14 მარტი	14:00 სთ.
დახურვა	14 მარტი	16:30 სთ.

**საერთო წესები:**

ტურის დაწყებიდან 15 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება.

**პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება.**

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

**გამარჯვებულები:** - I, II, III საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის 10,14,18 წლამდე ასაკის ჩემპიონი ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება ქ. თბილისში შესაბამისი ასაკის 2022 წლის საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

კოვიდ 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.

**ტურნირის დირექტორი:** საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

**მთავარი მსაჯი:** ფიდეს არბიტრი ლეონიდ ნეურონოვი